შეცვლილი შემადგენლობით

როსტოვი. “როსტსელმაშის” სტადიონი. 6 ივნისი.

სკა (როსტოვი) – “დინამო” (თბილისი) 1:1 (0:0).

გოლები გაიტანეს: პონედელნიკმა (56) და მესხმა (58)

სკა: კიკტევი (სკარლიგინი), გუშჩინი, ბოჩაროვი, გეიზერი, ჩერტკოვი, შიკუნოვი, კოპაევი (ეგოროვი), ვოლჩენკოვი, პონედელნიკი, ოდინცოვი, მატვეევი.

“დინამო”: კოტრიკაძე, სიჭინავა, ჩოხელი, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მელაშვილი, დათუნაშვილი, კალოევი, ჟორდანია, მესხი.

მსაჯი ნ. ხლოპოტინი (მოსკოვი).

როსტოვი. 6 ივნისი (ტელეფონით). დღეს აქ “როსტსელმაშის” სტადიონზე გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი ჩვენი ქვეყნის პირველობაზე I ჯგუფის გუნდებისათვის. ადგილობრივი სკა წინააღმდეგ თამაშობდა თბილისის “დინამო”. მასპინძლები მოედანზე გამოვიდნენ ძირითადი შემადგენლობით, სამაგიეროდ, თბილისის “დინამოს” აკლდა სამი წამყვანი ფეხბურთელი – თორაძე, ბარქაია, ღოღობერიძე. სტუმრებმა თამაში დაიწყეს შემდეგი შემადგენლობით: “დინამო”: კოტრიკაძე, სიჭინავა, ჩოხელი, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მელაშვილი, დათუნაშვილი, კალოევი, ჟორდანია, მესხი.

მატჩის დასაწყისიდანვე გაჩაღდა ტემპიანი თამაში, სადაც ერთგვარი უპირატესობა მასპინძლებს ჰქონდათ, მაგრამ კოტრიკაძე ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იდგა, ხოლო პონედელნიკი ყავდა ჩაკეტილი ჩოხელს. პირველი ნახევარი დამთავრდა უშედეგოდ.

თამაშის განახლების შემდეგ ტემპი კიდევ უფრო გაიზარდა, სახიფათო მომენტები იქმნებოდა როგორც ერთ, ისე მეორე კართან. ერთერთი ასეთი ხელსაყრელი მომენტო გამოიყენა პონედელნიკმა და ანგარიში გახსნა, მაგრამ როსტოველი გულშემატკივრების სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა, თითქმის იმავე წუთში მესხმა შესანიშნავი რეიდი განახორციელა და ანგარიში გათანაბრდა –1:1.

თბილისელთა მიერ საპასუხო ბურთის გატანის შემდეგ ტემპი დაეცა და უშედეგო ეპიზოდურ იერიშებში მიილია დრო. გუნდებმა გათამაშების ცხრილში თითო ქულა ჩაიწერეს.

***

დუბლიორთა შეხვედრა მოიგეს როსტოველებმა –3:2.

“ლელო”, 7 ივნისი, 1960 წ.